*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს კერძო სკოლა „ივერონი“

შეფასების თარიღ(ებ)ი: 03 და 04 მაისი, 2022წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 31 მაისი, 2022წ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს კერძო სკოლა „ივერონი“ |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 211333305 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქ. თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა, №9 |
| ფაქტობრივი მისამართი | ქ. თბილისი, დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს №41ა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| საფოსტო ინდექსი | 0159 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | http://www.iveronischool.gweb.ge/ |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | iveronischool@gmail.com |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | (+995 32) 2 53 56 68; |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | მარიამ დარჩაშვილი |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | (+995) 599 71 10 40 |
| ელ-ფოსტა | iveronischool@gmail.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, კახაბერ ერაძის 2022 წლის 13 აპრილის ბრძანება MES 3 22 0000381156 - ,, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს კერძო სკოლა ივერონში ვიზიტის შესახებ“. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 03 და 04 მაისი, 2022წ. |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ლელა ჯაში |
| წევრი (სახელი, გვარი) | ნანა ედიშერაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |

## IV. ვიზიტის შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

## ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | | | |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------

--------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)** | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
--------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | .............. |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.2.* | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
--------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | .............. |
| | *1.2.* | ............... |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.1.* | ............... |
| | *2.2.* | *სკოლის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ გოგონების და ვაჟების საპირფარეშოებში კაბინებს არ ჰქონდა კარი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია - სათანადოდ მოეწყოს სველი წერტილი (დამონტაჟდეს კარი).* |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | შპს კერძო სკოლის ,,ივერონი“ მისია განსაზღვრავს სწავლების პრიორიტეტებს, რომელთა შორისაა სახელოვნებო მიმართულებებით მოსწავლეთა ინტერესების გაღვივება. შინაარსობრივად დატვირთულ და მრავალფეროვან სასკოლო ღონისძიებების ორგანიზებასთან ერთად, სკოლა უზრუნველყოფს (საკუთარი ტრანსპორტით) მოსწავლეთა რეგულარულ, გასვლით ვიზიტებს თეატრებსა თუ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე - შემოთავაზებულ აქტივობებს შემეცნებითი, სოციალური, კომუნიკაციური და, რა თქმა უნდა, საგანმანათლებლო ორიენტაცია აქვთ.<br>სკოლის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, ხორციელდება სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ნაწილობრივი ან სრული დაფინანსება. ფინანსური შეღავათით სარგებლობენ სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების ოჯახის წევრი მოსწავლეებიც. |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | შპს კერძო სკოლა „ივერონი“ დაარსდა 2000 წელს. დაარსების დღიდან სკოლა, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამივე - დაწყებით, საბაზო და საშუალო - საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს.<br>სკოლის თითოეული საფეხურის მიზანია სათანადო ცოდნისა და უნარ-ჩვევების, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტელექტუალურ-ფიზიკური, ღირებულებების მქონე მოსწავლეთა აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, თითოეული მოსწავლის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლა მიზნად ისახავს, მშობლებთან თანამშრომლობის, შიდა სასკოლო მონიტორინგისა და სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით მოსწავლეთა მაღალი აკადემიური დონის მიღწევას და მათ მომზადებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის.<br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სწავლების პრიორიტეტები, როგორიცაა უცხოური ენები და სახელოვნებო მიმართულებები.<br>სკოლა მოწოდებულია: შექმნას უსაფრთხო გარემო, სადაც მოზარდები ეზიარებიან ზოგადსაკაცობრიო და ჰუმანისტურ იდეალებსა და ღირებულებებს. იზრუნოს, მშობლებთან ერთად, მოსწავლეთა უწყვეტი განვითარებისა და განათლების, მათთვის თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბების, მასწავლებელთა მუდმივი სწავლებისა და პროფესიული ზრდის ხელშემწყობი, განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სწავლება-განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და კლასში (სკოლაში) თავისუფალი შემოქმედებითი გარემოს შექმნაზე. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 170 | ექსპერტი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☐ | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს კერძო სკოლა ,,ივერონის“ სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულ იქნა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე N1, 07.09.2021წ. და დამტკიცდა სკოლის დირექტორის N1/ს-64, 07.09.2021წ. ბრძანებით. გარდა ამისა, სასკოლო-სასწავლო გეგმის შეთანხმება განხორციელდა შპს ,,კერძო სკოლა ივერონის“ პარტნიორთა კრების 2021 წლის 1 სექტემბრის სხდომაზე (N1).<br>2021-2022 სასწავლო წლის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე. სასკოლო-სასწავლო გეგმის ნაწილებია:<br>**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია** (იხ. ზემოთ) **და სკოლის მისია საფეხურების მიხედვით,** რომელიც განსაზღვრავს სწავლების თითოეულ საფეხურზე მომდევნო ეტაპისთვის საჭირო უნარების და მიღწევების ჩამონათვალს.<br>**სასკოლო სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნები** - გულისხმობს მოსწავლეებში გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების განვითარებას, რომელთა შორისაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მეწარმეობა და ინიციატივების გამოვლენა, კვლევა, სწავლის სწავლა და ა.შ. გამოყოფილია პრიორიტეტული თემებიც - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრება, სამოქალაქო უსაფრთხოება, კონფლიქტების მართვა, ფინანსური წიგნიერება და კულტურული მრავალფეროვნება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **სკოლის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები** - ითვალისწინებს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ, კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპზე დაყრდნობით.<br>**სკოლის ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები** - განსაზღვრავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც მიიღწევა სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვით, სიღრმისეული სწავლებით, მოსწავლის მოტივაციის გაზრდით, დისციპლინითა და მოსწავლეთა ჩართულობით.<br>**2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი** - შესაბამისობაშია საჯარო სკოლების სტანდარტულ კალენდართან (სასწავლო წლის დაწყების და დასრულების თარიღები, არდადეგების ხანგრძლივობა და უქმე დღეები).<br>**დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა** - განსაზღვრავს სრულად ელექტრონული (სინქრონული), ასინქრონული და ჰიბრიდული სწავლების მოდელებს. დისტანციური სწავლების დღის რეჟიმი და საათობრივი ბადე შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბერის №95/ნ ბრძანებაში - ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ წარმოდგენილ სარეკომენდაციო მონაცემებთან (გაკვეთილების ოდენობა და ხანგრძლივობა). სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლა ახორციელებდა დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგს შემდეგი მიმართულებით - ჩატარდა თუ არა დისტანციური გაკვეთილები დადგენილ დროსა და დადგენილი ხანგრძლივობით, განხორციელდა თუ არა დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების დასწრების და სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების აღრიცხვა და მიზეზების კვლევა, დაცული იყო თუ არა ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმები.<br>**სასკოლო საათობრივი ბადე** - სკოლას შემუშავებული აქვს საათობრივი ბადე (III მოდელი), რომელიც შეთანხმებული აქვს საქართველოს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (სკოლის მიმართვის წერილი N4-89, 22.11.2021წ. და ვაკე-საბურთალოს რესურსცენტრის შუამდგომლობის წერილი სკოლას MES 7 21 0001317034, 06.12.2021წ.). საათობრივ ბადეში განხორციელებული ცვლილებები შემდეგია: ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნის - რუსული ენის სწავლება იწყება III კლასიდან (III და IV კლასებში - 2 კვირეული საათი დატვირთვით). გარდა ამისა, გერმანული ენის სწავლება იწყება V კლასში და VIII კლასის ჩათვლით ხორციელდება (1 კვირეული საათი დატვირთვით).<br>ექსპერტები დაინტერესდნენ, რით იყო განპირობებული გერმანული ენის სწავლების შეთავაზება მხოლოდ V-VIII კლასებში და უცხოური ენის სწავლების შეწყვეტა, რამდენად მისცემდა მოსწავლეებს საშუალებას აღნიშნულ დისციპლინაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგების დაფარვას. როგორც გაირკვა, გერმანული ენის შეთავაზება მოსწავლეებისათვის მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა (საქმეშია კლასის დამრიგებლის მშობლებთან შეხვედრის ამსახველი ოქმი) და სწავლების მიზანი იყო მოსწავლეების ინტერესის გაღვივება ენის მიმართ. VIII კლასის შემდგომ, დაინტერესებულ მოსწავლეებს საშუალება აქვთ უცხოური ენის სწავლება განაგრძონ სკოლის მიერ შეთავაზებულ გერმანული ენის წრეში.<br>**ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა** - სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს უფასო წრეების სახით. კერძოდ:<br>მეტყველების წრე - (I-IV კლ);<br>რელიგიის ისტორიის წრე - (III-V კლ);<br>ხატვის წრე - (I-IV კლ);<br>ჭადრაკის წრე - (I-IV კლ).<br>ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას ფასიანი წრის სახით - ჭადრაკის წრე, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რომელიც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის მოიცავს სწავლების ორწლიან კურსს.<br>ასევე, გახანგრძლივებულ სწავლებას, რომლის დროსაც ხორციელდება მოსწავლეთა მხარდაჭერა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დისციპლინებში. ეს საგნებია - I-IV კლასებში - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება. უცხოური ენა - ინგლისური ენა. V-VI კლასებში - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა.<br>სასკოლო-სასწავლო გეგმას დანართის სახით წარმოდგენილი აქვს დეტალური ინფორმაცია სკოლის მიერ შეთავაზებული წრეების და კლუბების შესახებ (პროგრამები, ხანგრძლივობა, წრის/კლუბის მიზნები და ამოცანები, მისაღწევი შედეგები და ა.შ.).<br>**სადამრიგებლო პროგრამა** - კლასის დამრიგებლის მუშაობა წარიმართება შემდეგი პრინციპებით: სრულფასოვანი აღზრდა, მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა, მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება, თანამშრომლობის პრინციპი - დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან ემყარება თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.<br>**საგნობრივი კათედრები** - სკოლაში ფუნქციონირებს 5 საგნობრივი კათედრა, კერძოდ:<br>• ქართული ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა;<br>• უცხოური ენების კათედრა;<br>• ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა;<br>• დაწყებითი კლასების კათედრა;<br>• სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა.<br>საგნობრივი კათედრების ფუნქციები მიზნობრივია და დეტალურად არის გაწერილი დოკუმენტში. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა კათედრების პორტფოლიოები, რომლებიც განსაზღვრავენ შეხვედრების განრიგს, შემაჯამებელი დავალებების ჩატარების თარიღებს და მინიმალური რაოდენობას, სამოქმედო გეგმას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშს, კათედრის თავმჯდომარის ანგარიშს და ა.შ.<br>**საგანმანათლებლო რესურსები** - სკოლაში საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია: გრიფმინიჭებული სასკოლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სახელმძღვანელოები და დამატებითი საგანმანთლებლო რესურსები, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.), საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია.<br>სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა თან ერთვის სასკოლო-სასწავლო გეგმას.<br>**მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა** - განხილული იქნება ქვესტანდარტში 1.4.<br>**ინკლუზიური განათლება** - სასკოლო-სასწავლო გეგმაში მოცემულია დეტალური ინფორმაცია ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კერძოდ, სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირებასთან, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფის, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრების და გაცდენების, შინ სწავლების, სპეციალური მასწავლებლის ფუნქციების თაობაზე. დანართის სახით, წარმოდგენილია მოსწავლის ინდივიდუალური გეგმის ნიმუში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სასკოლო სასწავლო გეგმა და მისი დანართები;<br>შპს კერძო სკოლის ,,ივერონი“ და ვაკე საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის კორესპონდენცია - 2021-2022 წლის საათობრივი ბადის შეთანხმების თაობაზე;<br>კლასის დამრიგებლის მშობლებთან შეხვედრის ოქმი N4, 18.06.2015წ.<br>ვიზუალური დათვალიერება;<br>ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და მშობლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სკოლის მიერ შეთავაზებული პიროვნებაზე (მოსწავლეზე) ორიენტირებული საგანმანათლებლო ხედვა, ემოციურად უსაფრთხო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------
----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასწავლო გარემო და გუნდური მუშაობა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.<br>სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. საუბრისას პედაგოგები აღინიშნავდნენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა გაიზარდა და ისინი გარკვეული გამოწვევების პირისპირ აღმოჩნდნენ, პროცესი საინტერესო, ინტერაქტიული და რაც მთავარია - მოსწავლის ინტერესებზეა მორგებული.<br>აღნიშნულს ადასტურებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოებული დოკუმენტაცია. მაგალითისთვის, ექპერტებმა განიხილეს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი (N1, 06.09.2021წ.), საიდანაც ირკვევა, რომ - მასწავლებელი ვალდებულია სასწავლო წლის დასაწყისში თვითშეფასების საფუძველზე შეადგინოს საგნობრივი სასწავლო გეგმა (კურიკულუმი), რომლის ფარგლებშიც დაგეგმილი აქტივობები, დავალებები, გამოყენებული რესურსები მოსწავლეებს დაეხმარება დასახული, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში.<br>სასწავლო პროცესის ამგვარი მიმდინარეობა მოსაწონი აღმოჩნდა მოსწავლეებისათვისაც. ინტერვიუირებისას ისინი ადასტურებენ, რომ გაკვეთილები უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი აქტივობებით დატვირთული და შემეცნებითია.<br>ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეისწავლეს მე-5 კლასის კომპლექსური შემაჯამებელი დავალება საგანში - ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. როგორც აღმოჩნდა, დავალება განსაზღვრავს თემასთან დაკავშირებულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებას და მასთან დაკავშირებული მკვიდრ წარმოდგენებს, კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპებს, დეკლარატიულ და პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებულ შეკითხვებს და ა.შ.<br>შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა საშუალებას აძლევს მასწავლებლებს შედეგების გაუმჯობესების მიზნით, დაგეგმონ შემდგომი ინტერვენციები და იზრუნონ მოსწავლეთა როგორც აკადემიური მიღწევების, ისე, შესაბამისი უნარების გაუმჯობესებაზე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ღირებულებათა სისტემის განვითარების ასპექტები ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და იმ არაფორმალურ აქტივობებში, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სასკოლო-სასწავლო გეგმა;<br>კათედრების და პედაგოგების პორტფოლიოები;<br>კომპლექსური დავალებების ნიმუშები;<br>კათედრის სხდომის ოქმები;<br>საგნობრივი კათედრების ანგარიშები შესრულებული სამუშაოს შესახებ (სემესტრული, წლიური);<br>ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის პედაგოგების მხარდამჭერი აქტივობები, რომლებიც განაპირობებს იმ მოსწავლეების დახმარებას, რომელთაც კონკრეტულ საგანში დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ. მშობლები ინტერვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ გაკვეთილების დასრულების შემდგომ მოსწავლეები საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ კონსულტაციებს გადიან პედაგოგებთან.<br>სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს დამატებითი საკლუბო მუშაობასაც, რომელშიც ისინი სურვილის შესაბამისად ერთვებიან. ეს კლუბებია:<br>1. სამოქალაქო განათლების კლუბი;<br>2. ისტორიისა და გეოგრაფიის მოყვარულთა კლუბი;<br>3. წიგნის მოყვარულთა კლუბი.<br>ექსპერტები დაინტერესდნენ ,,წიგნის მოყვარულთა კლუბის" საქმიანობით. როგორც დირექციასთან საუბრისას გაირკვა, სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებას. სკოლის ბიბლიოთეკაც, რომელშიც მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსებია განთავსებული, დამატებით მოტივაციას |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უქმნის მოსწავლეებს - გაეცნონ ლიტერატურას და ისარგებლონ ბიბლიოთეკის მომსახურებით. როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლები, ისე მოსწავლეები ადასტურებენ, რომ სკოლაში ხშირად ხორციელდება მხატვრული ლიტერატურის ერთობლივი განხილვა და წიგნიერების მიმართულებით იგეგმება სხვადასხვა ღონისძიებები.<br>როგორც უკვე აღინიშნა, სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია ინკლუზიური განათლების განხორციელებასთან და მექანიზმებთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე, სკოლაში ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე ირიცხება. მისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ისგ ჯგუფი. სპეციალური მასწავლებელი ზრუნავს სსსმ მოსწავლის როგორც ქცევაზე, ასევე, სწავლასა და შემეცნებაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სასკოლო-სასწავლო გეგმა;<br>ინდივიდუალური-სასწავლო გეგმის ნიმუში;<br>სკოლის დირექტორის 2021 წლის 15 ოქტომბრის №1/ს-87 ბრძანება - ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ და ცვლილების დოკუმენტი, №1/ს-111, 2021 წლის 15 დეკემბერი;<br>სპეციალური მასწავლებლის კონკურსის წესით შერჩევის დამადასტურებელი ოქმი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შეფასების სისტემა სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. შპს კერძო სკოლა „ივერონი“ იყენებს შეფასების ხუთდონიან და ათქულიან სისტემას.<br>I - IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. წლის ბოლოს საგნის მასწავლებლები ახორციელებენ მოსწავლის მოკლე, წერილობითი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეფასებას. კლასის დამრიგებელი, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს წერილობითი ფორმით აფასებს მოსწავლეს.<br>V კლასის მეორე სემესტრსა და VI - XII კლასში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგანში - ,,ფიზიკური აღზრდა", აგრეთვე, არჩევით საგნებში, ჩათვლის სისტემა მოქმედებს.<br>სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში: მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები), შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები) - ყველა კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.<br>სასკოლო-სასწავლო გეგმის თანახმად, შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში ფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას, მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და უნარები.<br>სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესიც.<br>სასკოლო-სასწავლო გეგმის დანართად წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. სკოლის მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუირების დროს ექსპერტები დაინტერესდნენ, რამდენად უზრუნველყოფს სკოლა შეფასების მექანიზმების სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობას. როგორც აღმოჩნდა, მოსწავლეები და მშობლები კარგად იცნობენ შეფასების პრინციპებს.<br>ექსპერტების ყურადღება მიიქცია ანალიტიკურმა რუბრიკებმა (ექსპერიმენტის შეფასება, ინფორმაციის მოძიება, მათემატიკის წერითი შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა), სადაც შეფასების სკალაზე დატანილი ქულები შემდეგნაირად არის გადანაწილებული -,,1-3", ,,4-5", ,,6-7", ,,8-10". აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტებმა რეკომენდაციით მიმართეს სკოლის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებს - ვინაიდან ,,4-5" ხარისხობრივი დონე მოსწავლის როგორც დადებით, ისე უარყოფით შეფასებას მოიცავდა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღწერილობითი ნაწილი არ იძლეოდა შეფასების მკაფიო გამიჯვნის საშუალებას, მიზანშეწონილი იყო სკალაზე დატანილი ქულები გადანაწილებულიყო ისე, რომ დადებითი და უარყოფით შეფასებები დამოუკიდებლად, შესაბამისობაში ყოფილიყო კონკრეტულ, აღწერით ნაწილთან. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების მოსაზრებები და ვიზიტის მიმდინარეობისას წარმოადგინა შესაბამისი რუბრიკები კორექტირებული სახით.<br>შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმაც ეფექტურად გამოიყენება სკოლის პედაგოგების მიერ და შედეგები განაპირობებს შემდგომ ინტერვენციებს სწავლა-სწავლების პროცესში.<br>მასწავლებლის პორტფოლიოებში ვხვდებით მოსწავლეთა შეფასების ფორმებს სოლო ტაქსონომიის მოდელის გამოყენებით, რომელიც დაკვირვებული სწავლის და შედეგების კლასიფიკაციის საშუალებას წარმოადგენს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სასკოლო-სასწავლო გეგმა;<br>შეფასების რუბრიკები;<br>მასწავლებლის პორტფოლიოები;<br>კომპლექსური დავალების ნიმუშები;<br>ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს კერძო სკოლის „ივერონი“ დირექტორის 2016 წლის 20 აპრილის №1/ს-16 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის (ჩართულობის) შესახებ დებულება“ (ცვლილება განხორციელებულია №1/ს-4, 05.01.2021წ. ბრძანების საფუძველზე).<br>დებულების მიზანია - მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა, მშობელთა დროული ინფორმირება სკოლის მიზნების, დაგეგმილი ღონისძიებების, დისციპლინური ნორმების, შეფასების ინსტრუმენტების თაობაზე. მშობლების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრების და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების შესახებ და ა.შ.<br>დებულების მე-4 მუხლი არეგულირებს მასწავლებლის/დამრიგებლის ვალდებულებებს მშობლებთან ურთიერთობის ფარგლებში. მე-5 მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება მოვალეობების შესახებ. მშობლებთან ურთიერთობის ფორმა დგინდება გამოკითხვის საფუძველზე.<br>დოკუმენტი, აგრეთვე, განსაზღვრავს მშობლისთვის სავალდებულო მისაწოდებელი დოკუმენტაციის ნუსხასაც, მათ შორის, სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ჩამონათვალს, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს, ევაკუაციის გეგმას, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმას, ქცევის წესებს და ა.შ.<br>დამრიგებლის მოვალეობებიც, რომლებიც სასკოლო-სასწავლო გეგმაშია წარმოდგენილი, მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის ასპექტებს განსაზღვრავს და ავალდებულებს მას იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში.<br>სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს SchoolBook, რომელიც საშუალებას აძლევს მშობელს მოიპოვოს ინფორმაცია გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების და ნიშნების ფურცლების თაობაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის (ჩართულობის) შესახებ დებულება;<br>ელექტრონულ ჟურნალი SchoolBook -ი.<br>ინტერვიუ მშობლებთან და პედაგოგებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს კერძო სკოლა „ივერონს" შედგენილი აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებს. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე".<br>სკოლაში შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტურობის შეფასებას და ანალიზს ახორციელებს. მაგალითად, მონიტორინგის ჯგუფის 2020-2021 სასწავლო წლის ანგარიშის თანახმად, მოსწავლეთა და მასწავლებელთა საჭიროებების დადგენით, სკოლის დირექციამ შეძლო სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესება - სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით გატარდა შემდგომი ღონისძიებები: სასწავლო პროცესის მუდმივი კონტროლი, ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების ანალიზი და ასახვა დოკუმენტში, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, ანალიზი და საბოლოოდ, მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, ახალი სასწავლო წლისთვის შეიქმნა მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასკოლო სასწავლო გეგმა.<br>სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში ვხვდებით სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის საკმაოდ ვრცელ და დეტალურ ანგარიშებს სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ასახავს სკოლის წინაშე მდგარ გამოწვევებს და მათი გადაჭრის შესაძლო გზებს.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით ტარდება, მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა გამოკითხვები. მაგალითად, მოსწავლეთა კითხვაში საკვლევი თემაა - რამდენად ობიექტურად ხორციელდება შეფასება და რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ სასკოლო ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ ბოლო კითხვით ექსპერტებმაც მიმართეს მოსწავლეებს და მათ აღნიშნეს, რომ სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი სრულიად მისაღებია მათთვის და კორექტირებას არ საჭიროებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შპს კერძო სკოლა „ივერონის" სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები;<br>მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების კითხვარები;<br>მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშის ფორმები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის სასწავლო ნაწილის სემესტრული ანგარიშები;<br>ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| **ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:** | |
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | საჯარო რეესტრის 2022 წლის 11 თებერვლის ამონაწერის მიხედვით, შპს კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირი - კერძო სკოლა „ივერონი" 2014 წლის 27 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულებით არის მოიჯარე სსიპ ,,ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პროფესიული არატიპიური სახელოვნებო სასწავლებელ - ხელოვნების კოლეჯისა" (ს/კ 211369133); იჯარის ვადა 20 წლით არის განსაზღვრული. იჯარის საგანია: შენობის I და II სართულებზე მდებარე 1200 კვ.მ. ფართი; სკოლის ფართი ხელოვნების კოლეჯისგან გამიჯნულია.<br>ხოლო სსიპ ,,ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო პროფესიული არატიპიური სახელოვნებო სასწავლებელი-ხელოვნების კოლეჯი" არის უზუფრუქტუარი სახელმწიფო ქონებისა, რომელიც მდებარობს ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. N41ა-ში მდებარე 11381 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (იგივე ფართი მეორე მხრიდან ფიქსირდება როგორც პეტრე იბერის ქუჩა N9) და მის საკუთრებაშია შენობა-ნაგებობები N1 და N2 - საერთო ფართით 2428.9 კვ.მ, და ნაგებობები N3 და N4; უზურფრუქტის ხელშეკრულების დადების თარიღია: 13/01/2004; უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება ძალაშია "უზუფრუქტუარის" საჯარო სამართლის იურიდიულ პირად არსებობის პერიოდში.<br>ვიზუალური დათვალიერების მიხედვით, სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია ღობით. ეზოში მოწყობილია ღია სპორტული მოედანი (960 კვ.მ). ეზო გამწვანებულია შესანიშნავი ნარგავებით, მოწყობილია მოსწავლეთა გასართობი ზონები. სკოლის ღია სივრცე პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოს შთაბეჭდილებას ტოვებს. შესაძლებელია მისი გამოყენება საგანმანათლებლო აქტივობებისთვისაც.<br>მიწის ნაკვეთზე მდებარე მთავარი შენობა-ნაგებობის 1200 კვ. მ ფართში, პირველ სართულზე, განთავსებულია ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ჭადრაკის ოთახი, კვების ბლოკი, შიდა სპორტული დარბაზი, ოთახი ჩოგბურთის მაგიდით, სათავსოები, ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები, ადაპტირებული სველი წერტილი. მეორე სართულზე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განლაგებულია სამასწავლებლო, დირექტორისა და მისი მოადგილის ოთახი, რესურსოთახი, დამხმარე ოთახი და 12 საკლასო ოთახი.<br>შენობა-ნაგებობა ვიზუალური დათვალიერებით კეთილგანწყობილ და პოზიტიურ, საგანმანათლებლო პროცესისთვის ეფექტურ გარემოს შთაბეჭდილებას ტოვებს. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქ. N41ა |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 01.10.06.007.010 |
| *კვ.მ.* | 11381 |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** | საჯარო რეესტრის 2022 წლის 11 თებერვლის ამონაწერი;<br>იჯარის ხელშეკრულება;<br>აზომვითი ნახაზი;<br>სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება;<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შენობა-ნაგებობებში სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლებისათვის მოწყობილია 12 საკლასო ოთახი. კლასში მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია მაქსიმუმ 21 მოსწავლით. სკოლას აქვს 200-მდე ინდივიდუალური მერხი და სკამი.<br>ყველა ოთახში დგას ერთადგილიანი მერხი და სკამი. არის დაფა, მასწავლებლის მაგიდა, კლასის ასაკობრივი ჯგუფისა და პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი სხვადასხვა საგანმანათლებლო თვალსაჩინოება თუ ინტერაქტიური სასწავლო რესურსი. რამდენიმე საკლასო ოთახში არის კომპიუტერი. ვიზუალური დათვალიერების მიხედვით, თითოეული ოთახი ტოვებს ინტერაქტიური სწავლების შესაბამისი საგანმანათლებლო სივრცის შთაბეჭდილებას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | <u>აღსანიშნავია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად სკოლას მითითებული აქვს 220 მოსწავლე. თუმცა, ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ გამოთქვა მზაობა ზღვრულ ოდენობაში 170 მოსწავლის დაფიქსირების თაობაზე.</u> |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ინდივიდუალური მერხებისა და სკამების ფლობის დოკუმენტები;<br>სხვა საკლასო ინვენტარის ფლობის დოკუმენტები;<br>კომპიუტერული ტექნოლოგიის ფლობის დოკუმენტები;<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებისათვის სკოლის ეზოში მოწყობილია ღია 960.0 კვ.მ.-ის ღია სპორტული მოედანი კალათბურთის ფარებით, ფეხბურთის კარებებით, სკოლას აქვს ასევე 77კვ.მ შიდა სპორტული დარბაზი შესაბამისი სპორტული ინვენტარით - ფრენბურთისა და ფეხბურთის ბურთებით, ჰულაჰუპებით, ტანვარჯიშის კიბით და ა.შ. ცალკეა ოთახი, სადაც განთავსებულია ჩოგბურთის მაგიდა შესაბამისი აღჭურვილობით.<br>სკოლა აქტიურად იყენებს ღია სპორტულ მოედანს სპორტული, სხვადასხვა სახის კულტურული აქტივობებისა და ღონისძიებებისათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სპორტული ინვენტარის ფლობის დოკუმენტები;<br>სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება;<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N672 ბრძანებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად მოწყობილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელსაც იყენებენ ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებლები. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი. არის სველი წერტილი. ლაბორატორიას აქვს ბუნებრივი განიავების შესაძლებლობა. მოწყობილია ინვენტარისა და ქიმიური საშუალებების საცავი კარადები. ლაბორატორიის ვიზუალური დათვალიერების მიხედვით დასტურდება მისი აქტიურად გამოყენება სასწავლო პროცესში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ლაბორატორიის შეძენის დოკუმენტაცია;<br>რეაქტივების შეძენის დოკუმენტაცია;<br>მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყოფილ ყველა ოთახს აქვს ფანჯარა და ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. დაწესებულებას მიეწოდება ელექტრო ენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი. შენობა თბება ე.წ. ცენტრალური გათბობით.<br>შენობა-ნაგებობაში მოწყობილია 9 სველი წერტილი - 1 თანამშრომლებისთვის სამასწავლებლოსთან, პირველ სართულზე 4 სველი წერტილი - მოსწავლე გოგონებისა და 3 ვაჟებისთვის, 1 ადაპტირებული სველი წერტილი.<br>ვიზუალური დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ საპირფარეშოების კაბინებს არ ჰქონდათ კარი. ამის თაობაზე სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ უმოკლეს ვადაში მოაწესრიგებენ საპირფარეშოებს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ექსპერტების მიერ შედგენილი დასკვნის პროექტის საფუძველზე, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული წერილი (ექსპერტებს ეცნობათ სკოლის პოზიციის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპონდენციით MES 2 22 0000558276, 30.05.2022წ.), თანდართული შესაბამისი ფოტო და ვიდეო მასალით, საიდანაც ირკვევა, რომ გოგონების და ვაჟების სველ წერტილებში კაბინებს დაუმონტაჟდა კარები (იხ. დანართი). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | კომუნალური ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა თვლის, რომ ბიბლიოთეკას მნიშვნელოვანი როლი აკისრია სწავლა-სწავლების პროცესში. საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად სკოლას შესანიშნავად აქვს მოწყობილი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა საგანმანათლებლო და არაფორმალური აქტივობების ცენტრია სკოლისთვის. აქ არის სცენა წარმოდგენებისთვის, პროექტორი და ციფრული ტექნიკა, როიალი.<br>ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და საინტერესო წიგნები სხვადასხვა ასაკობრივი თავისებურებების მიხედვით. ბიბლიოთეკას აქვს ინგლისურენოვანი წიგნადი ფონდიც. ბიბლიოთეკაში ინახება 1227 სასწავლო და 2101 საკითხავი წიგნი. წარმოდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები. მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერებით, ჟურნალებით, ცნობარებითა და ა. შ. წიგნები ბიბლიოგრაფიულად მოწესრიგებულია, დანომრილი და აღწერილია, შექმნილია კართოთეკები.<br>ბიბლიოთეკას ემსახურება ბიბლიოთეკარი და ლაბორანტი. მიმდინარეობს საბიბლიოთეკო საქმისწარმოება და შემუშავებულია შპს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კერძო სკოლა „ივერონის“ დირექტორის მიერ ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | წიგნადი ფონდის ფლობის დოკუმენტაცია;<br>შპს კერძო სკოლა „ივერონის“ დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიბლიოთეკის გამოყენების წესი;<br>სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება;<br>სკოლის ბიბლიოთეკართან გასაუბრება.<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს კერძო სკოლა „ივერონის“ შესასვლელში განთავსებულია პანდუსი. სკოლის პირველ სართულზე არის ერთი ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას აქვს რესურსოთახიც, სადაც სსსმ მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა საჭიროებისამებრ, დაისვენოს და ინდივიდუალურად იმეცადინოს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, მიეწოდება ინტერნეტი და აქვს 15 კომპიუტერი, 3 პორტატული კომპიუტერი, 1 პროექტორი, 3 პრინტერი. სკოლის თანამშრომლებისა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწავლეებისათვის ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია. სკოლის მთელი პერიმეტრი არის უკაბელო ინტერნეტის (WI_FI) დაფარვით.<br><br>სკოლას საზოგადოებასთან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციის შესასრულებლად, შექმნილი აქვს ვებ. გვერდი http://www.iveronischool.gweb.ge/, რომელზეც შესვლისას ვიზიტორს შეუძლია მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სკოლის სასწავლო პროგრამების, სასკოლო ცხოვრების, ღონისძიებებისა და აქტივობების, მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობების, სკოლაში არსებული ვაკანსიებისა და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | კომპიუტერული ტექნოლოგიების შეძენის დოკუმენტები;<br>http://www.iveronischool.gweb.ge/,<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს კერძო სკოლა „ივერონის“ დირექტორის 2020 წლის 24 წლის იანვარის N1/ს-2 ბრძანებით შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისა დაცვის წესი და პირობები. ასევე, შპს კერძო სკოლა „ივერონის“ დირექტორის 2016 წლის 4 ივნისის N1/ს-30 ბრძანებით დამტკიცებულია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.<br><br>სკოლის შენობა-ნაგებობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. სკოლაში არის 7 ცეცხლმაქრი. სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზის, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე დირექტორის მიერ განსაზღვრული პირის - უსაფრთხო სკოლის მენეჯერის მობილური ტელეფონის ნომერი და ა.შ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შენობის დაცვას უზრუნველყოფენ: ადმინისტრატორი, უსაფრთხო სკოლის მენეჯერი და ღამის დარაჯები. გარდა ამისა, სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კერძო დაცვის სამსახურთან შპს ,,ალგანი“, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მთელი პერიმეტრის კონტროლს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შპს კერძო სკოლა „ივერონის“ დირექტორის 2020 წლის 24 იანვრის N1/ს-2 ბრძანების დანართი - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისა დაცვის წესი და პირობები;<br><br>შპს კერძო სკოლა „ივერონის“ დირექტორის 2016 წლის 4 ივნისის N1/ს-30 ბრძანების დანართი - ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.<br><br>სახანძრო ინვენტარის ფლობის დოკუმენტაცია;<br>შპს „მ.ბ.ჯ შრომის უსაფრთხოება” - სთან დადებული 2022 წლის 1 თებერვლის მომსახურების ხელშეკრულება;<br>2021 წლის 4 ოქტომბერის ადმინისტრატორის შრომითი ხელშეკრულება #5-77;<br>2021 წლის 4 ოქტომბერის უსაფრთხო სკოლის მენეჯერის შრომითი ხელშეკრულება #5-70;<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის ორივე სართულის თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრული საევაკუაციო გეგმა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს კერძო სკოლა „ივერონის" დირექტორის მიერ 2022 წლის 2 მაისის N1/ს-28 ბრძანებით დამტკიცებულია დანართი - შპს კერძო სკოლა „ივერონის" სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლას ემსახურება ექთანი. ასევე, პირველ სართულზე განთავსებულია ოთახი სადაც შესაძლებელია პირველადი დახმარების აღმოჩენა. ოთახი აღჭურვილია ყველა საჭირო სამედიცინო ინვენტარითა და პირველადი დახმარების აღმოჩენის საშუალებებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შპს კერძო სკოლა „ივერონის" დირექტორის 2022 წლის 2 მაისის N1ს-28 ბრძანების დანართი - შპს კერძო სკოლა „ივერონის" სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.<br>ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>სამედიცინო ინვენტარისა და საშუალებების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>ექთანთან გასაუბრება;<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს დაწესებულებაში ქცევის წესებს.<br><br>სკოლას შედგენილი აქვს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული (სამინისტროს წერილი MES 1 20 00017886, 10.01.2020წ.) ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები,,.<br><br>სკოლას ჰყავს თანამშრომლები - ადმინისტრატორი და უსაფრთხო სკოლის მენეჯერი. განსაზღვრულია უკონტაქტო დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი.<br><br>ასევე, კლასების სადამრიგებლო პროგრამებით გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, რომელიც მოსწავლეებს გააზრებინებს სასკოლო სივრცეში უსაფრთხო ქცევისა და ერთმანეთის მიმართ დადებითი დამოკიდებულების მნიშვნელობას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შპს კერძო სკოლა „ივერონის" დირექტორის 2021 წლის 1 ივლისის N1/ს-25 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;<br>,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები,,.,<br>საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კორესპონდენცია MES 1 20 00017886, 10.01.2020წ.<br>კლასების სადამრიგებლო პროგრამები;<br>2021 წლის 4 ოქტომბერის ადმინისტრატორის შრომითი ხელშეკრულება #5-77;<br>2021 წლის 4 ოქტომბერის უსაფრთხო სკოლის მენეჯერის შრომითი ხელშეკრულება #5-70;<br>შპს კერძო სკოლა „ივერონის" დირექტორის 2021 წლის 7 სექტემბრის N1/ს-70 ბრძანება - მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

**ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს**

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის პერიმეტრის გასაკონტროლებლად, დაწესებულებას აქვს 15 კამერა, რომლებიდანაც კონტროლდება როგორც სკოლის შიდა შენობა-ნაგებობა, ისე გარე პერიმეტრი. სათვალთვალო კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებს. კამერები ჩართულია 24 საათიანი რეჟიმით და კონტროლდება უსაფრთხო სკოლის მენეჯერის მიერ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიდეო-სამეთვალყურეოს სისტემის ფლობის დოკუმენტაცია;<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შემუშავებული სკოლის წესდება და შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს გადაწყვეტილების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურებს. შინაგანაწესი განსაზღვრავს დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობებს, მიღების წესს, სასწავლო და სამუშაო დროს. მოსწავლის სკოლაში მიღების და კლასიდან კლასში გადაყვანის წესს. მოსწავლეთა და თანამშრომელთა ქცევის /ეთიკის ნორმებს.<br><br>სკოლა „ივერონს" აქვს ასევე სასკოლო დებულება; მშობლებთან ურთიერთობის დებულება; ბიბლიოთეკის დებულება; ლაბორატორიით სარგებლობის წესი; სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისა დაცვის წესი და პირობები; ხარისხის ჯგუფის დებულება; კათედრის დებულება; სადამრიგებლო დებულება; პედაგოგიური საბჭოს დებულება; სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმების დებულება; კონკურსის გამოცხადების წესი; ყველა სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულისათვის შემუშავებულია კონკრეტული სამუშაო აღწერილობები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შპს კერძო სკოლა „ივერონის" დირექტორის 2021 წლის 1 ივლისის N1/ს-25 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი (ცვლილების დოკუმენტი - ბრძანება N1/ს - 40, 03.05.2022წ.)<br>შპს კერძო სკოლა „ივერონის" წესდება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------
-----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს 2016-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შედგება რვა სტრატეგიული მიზნისა და შესაბამისი ამოცანებისაგან. ეს მიზნებია:<br>✓ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;<br>✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;<br>✓ სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება;<br>✓ სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით;<br>✓ თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება;<br>✓ უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა;<br>✓ მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში;<br>✓ მასტიმულირებელი ბერკეტები სწავლებისა და აღზრდის საქმეში.<br>სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხევდით დაგეგმილია სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება; მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება; ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია; სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება; სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა; სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობის სხვა საშუალებებით; უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა; მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შპს კერძო სკოლა „ივერონის“ 2016-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;<br>შპს კერძო სკოლა „ივერონის“ 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.<br>ერთწლიანი განვითარების გეგმის ანგარიში. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შემუშავებულია საქმეთა მმართველის სამუშაო აღწერილობა, რომელსაც ევალება დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების შესაბამისი ფორმით აღრიცხვა.<br><br>დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა და ეს სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკაა.<br><br>საქმეთა მმართველი აწარმოებს:<br><br>✓ საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს;<br>✓ მოსწავლეთა მოძრაობის ბრძანებების ჟურნალს;<br>✓ შემოსული დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალს;<br>✓ გასული დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალს;<br>✓ შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალს;<br>✓ მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალს;<br>✓ სხვა სახის ხელშეკრულებების ჟურნალს;<br>✓ მოსწავლეთა პირად საქმეებს;<br><br>ყველა ჟურნალი დამოწმებულია შესაბამისი რეგულაციით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | დაწესებულების საქმეთა მმართველის სამუშაო აღწერილობა;<br>დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალები;<br>ვიზუალური დათვალიერება;<br>გასაუბრება საქმეთა მმართველთან. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს კერძო სკოლის ,,ივერონი" საშტატო განრიგი დამტკიცდა 2021 წლის 1 სექტემბრის N1/ს - 35 ბრძანების საფუძველზე და განხილულ იქნა პარტნიორთა კრებაზე 2021 წლის 7 სექტემბერს.<br>საშტატო განრიგი მოიცავს 76 საშტატო ერთეულს. კერძოდ, სკოლის დირექცია წარმოდგენილია სკოლის დირექტორით და სასწავლო ნაწილის გამგით (2 პოზიცია), ადმინისტრაციის შემადგენლობაშია - ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, საქმისმწარმოებელი, ადმინისტრაციული და საკანცელარიო საქმეთა მენეჯერი, სამეურნეო ნაწილის გამგე, პიარ მენეჯერი, ინფო მენეჯერი, პედ. ორგანიზატორი, აღმზრდელი (სულ 20 პოზიცია, მათ შორის, 10 აღმზრდელი), პედაგოგები და სპეციალური მასწავლებელი. წრის ხელმძღვანელები (სულ 4). ტექნიკური პერსონალის საშტატო ერთეულებია - მდივანი, ბიბლიოთეკის ლაბორანტი, ექთანი, ლაბორანტი, ადმინისტრატორი, მზარეული, მზარეულის დამხმარე, დამლაგებელი (3), მეეზოვე, დარაჯი (4).<br>სკოლის სტრუქტურა (იერარქიული წყობა), აგრეთვე, სქემატური გამოსახულებით არის წარმოდგენილი.<br>სკოლის დებულება (დამტკიცებული 2021 წლის 1 სექტემბრის N1/ს - 35 ბრძანების საფუძველზე) აწესრიგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - შპს კერძო სკოლა ,,ივერონის'' საგანმანათლებლო საქმიანობას, სკოლის მართვის პრინციპებსა და წესებს.<br>გადაწყვეტილებას სკოლის სტრუქტურული ერთეულების შექმნის ან გაუქმების შესახებ პარტნიორთა კრებასთან შეთანხმებით იღებს შპს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კერძო სკოლა ,,ივერონის'' დირექტორი. სკოლის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით და შპს კერძო სკოლა ,,ივერონის'' დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების დებულებებით.<br>სკოლის მიერ შექმნილი დებულებები განსაზღვრავს სკოლის ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკარის), საგნობრივი კათედრების, პედაგოგიური საბჭოს, დამრიგებლების მიზნებს და ამოცანებს, უფლება-მოვალეობებს და ა.შ.<br>ვიზიტის დროს, ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს სკოლის საქმისმწარმოებლის მიერ ფუნქციების მაღალი ხარისხით შესრულების თაობაზე, რაც აისახებოდა დოკუმენტაციის ორგანიზების, დახარისხების, წერილების თუ საქმიანი დოკუმენტების, ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტების შექმნასა და დამუშავებაში. შესაბამის პოზიციაზე დასაქმებული პირის მიერ სრულად არის დაცული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები და შემოსული, გასული და სკოლის შიდა დოკუმენტაცია კანონით დადგენილი წესის შესაბამისად არის წარმოებული. დოკუმენტაციის წარმოების ამგვარი ფორმა სკოლაში მიმდინარე პროცესებს გამჭირვალეს ხდის და ანგარიშგების მიმართულებით მეტ სიზუსტეს განაპირობებს.<br>სკოლის ბიბლიოთეკარიც განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ სამუშაოებს. სახელმძღვანელოები, თემატიკის მიხედვით, როგორც ელექტრონულად, ისე დოკუმენტური ფორმით არის წარმოდგენილი. ბიბლიოთეკარის მიერ აღრიცხულია ყველა დეტალი, რაც ბიბლიოთეკის საქმიანობას დადებითად წარმოაჩენს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შპს კერძო სკოლის ,,ივერონი“ საშტატო განრიგი;<br>შპს კერძო სკოლის ,,ივერონი“ 2021 წლის 1 სექტემბრის N1/ს - 35 ბრძანება - სკოლის დებულების, სტრუქტურის და საშტატო განრიგის დამტკიცების თაობაზე.<br>საშტატო განრიგის სქემატური გამოსახულებს (იერარქიული წყობა);<br>სკოლის დებულება;<br>სტრუქტურული ერთეულების დებულებები;<br>ვიზუალური დათვალიერება;<br>ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 27 |
| მოწვეული/მაძიებელი | 5/3 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 0 |
| უფროსი მასწავლებლი | 17 |
| წამყვანი მასწავლებლი | 1 |
| მენტორის სტატუსი | 0 |
| სპეციალური მასწავლებელი | 1 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად.<br>მასწავლებელთა პირადი საქმეები მოიცავს პირად მონაცემებს (CV), განათლების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, სტატუსის შესაბამის სერტიფიკატებს (არსებობის შემთხვევაში), ცნობებს ნასამართლობის და სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, პროფესიული საქმიანობის დამადასტურებელ სერტიფიკატებს და სხვა.<br>შპს კერძო სკოლა ,,ივერონმა“ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს სკოლის მიერ ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის მასალებს, კერძოდ, კომისიის შექმნის ბრძანება (1/ს-85, 10.10.2021წ.), ღია კონკურსის გამოცხადების ბრძანება (1/ს-84, 10.10.2021წ.), კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება კანდიდატების შეფასება და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი (N1, 18.10.2021წ.), რომელიც ადგენს შემდეგ ეტაპზე გადასული კანდიდატების მონაცემებს. ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია და მისი წარმოების ფორმა ადასტურებს, რომ შერჩევის პროცესი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დამტკიცებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად ხორციელდება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შრომითი ხელშეკრულებები;<br>მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის მასალები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული და დირექტორის 2019 წლის 30 დეკემბრის 1/ს-76 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შპს კერძო სკოლა „ივერონის“ ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი. დოკუმენტში წარმოდგენილია კონკურსის მიზნები და ამოცანები, პრინციპები, გამოცხადების წესი, კონკურსის ჩატარების პროცედურა და საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი, კონკურსის შედეგები და ინფორმაცია კონკურსის შედეგების გასაჩივრების შესახებ. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლის მიერ ჩატარებული საკონკურსო მასალები სრულ შესაბამისობაშია დებულებაში გაწერილ რეგულაციებთან.<br>სკოლის შინაგანაწესის (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2021 წლის 01 ივლისის №1/ს-25 ბრძანებით) მე - 5 მუხლი ადგენს სკოლაში თანამშრომელთა მიღების პროცედურებს. მე-6 მუხლის თანახმად, სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული “მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის” შესაბამისად. სკოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას, დირექტორი უფლებამოსილია მოწვეული ან/და შემცვლელი მასწავლებლები დაასაქმოს სკოლაში კონკურსის გარეშე.<br>შინაგანაწესის მე - 5 თავი განსაზღვრავს დასაქმებულის წახალისების ფორმებს და დისციპლინურ პასუხისმგებლობას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღსანიშნავია, რომ სკოლის დირექციის წევრები/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | აქვს შპს კერძო სკოლა „ივერონის" ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი;<br>შინაგანაწესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. აღსანიშნავია, რომ წამყვან მასწავლებლებს ხელშეკრულებებში გათვალისწინებული აქვთ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 3019 წლის 20 აგვისტოს N174// ბრძანებით განსაზღვრული შესაბამისი ფუნქციები.<br>მოწვეულ მასწავლებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულია პედაგოგების სამუშაო დატვირთვა და მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 9 კვირეულ საათს, ხოლო მაძიებელი მასწავლებლის შემთხვევაში, ხელშეკრულება ავალდებულებს პირს ხელშეკრულების დადებიდან 2 წლის განმავლობაში გაიაროს მასწავლებლის მაძიებლის პროგრამა.<br>ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის და სკოლის სხვადასხვა პოზიციაზე მომუშავე თანამშრომელთა შრომითი ურთიერთობაც ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება. ხელშეკრულებებში გაწერილია დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მხარეთა პასუხისმგებლობებს განსაზღვრავს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შრომითი ხელშეკრულებები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს კერძო სკოლას ,,ივერიონი“ შედგენილი აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები (დებულება), რომლის მიზანია სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარება, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება.<br>სკოლის ,,პროფესიული განვითარების და წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის დებულება“ ადგენს მასწავლებლის შეფასების მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობას. ხარისხის ჯგუფი ხელმძღვანელობს გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად (მუხლი 3) და მისი მიზნებია სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება და სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება (მუხლი 5).<br>ექსპერტების ყურადღება მიიქცია სკოლის მიერ წარმოდგენილმა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმებმა (N1, 17.09.2021წ. და N2, 10.01.2022წ.). როგორც ირკვევა, სამუშაო პროცესი მიზნობრივია და ემსახურება სწავლების პროცესის გაუმჯობესებას.<br>გარდა ამისა, პედაგოგები ინტერვიუირებისას ადასტურებდნენ, რომ აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ტრენინგ-პროგრამებში, მათ შორის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინიცირებულ აქტივობებში, რომლებიც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მიმართულებით იყო შეთავაზებული. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები (დებულება);<br>სკოლის დირექტორის ბრძანება 1/ს-39, 03.05.2022წ. - ,,შპს კერძო სკოლა ,,ივერიონის" ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმებში ცვლილების შეტანის შესახებ;<br>ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;<br>ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმები;<br>ტრენინგების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>ინტერვიუ სკოლის პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაცია საუბრისას აღნიშნავენ, რომ მათი მუშაობა გუნდურ პრინციპებს ემყარება.<br>საინტერესო, შედეგებზე ორიენტირებული აქტივობები იგეგმება სკოლის დირექციის მიერ და არაფორმალური განათლება ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებების, განწყობების და ურთიერთობების პოზიტიური კუთხით განვითარებას.<br>სკოლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დარაჯი და უსაფრთხო სკოლის მენეჯერი. მიმდინარეობს ვიდეოკონტროლი და პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში ხდება მყისიერი რეაგირება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი: 170 (ასსამოცდაათი) გვერდი.

............................ ......................

(შევსების ადგილი) : ქ. თბილისი
თარიღი: 31.05.2022
გვერდების რაოდენობა 44 (ორმოცდაოთხი) გვერდი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.